გახდით წარმატებული არქიტექტორები.....

ეს თქვენი განსაკუთრებული შანსია.....

****

AIIA

****

ქალაქ თბილისი, სოფელ კიკეთის საკურორტო ზონაში
ს.კ 81.01.01.809 და ს.კ 81.01.01.810 მიწის ნაკვეთზე დასასვენებელი
საზაფხულო რეზიდენციის-ვილის არქიტექტურულ იდეის-კონცეფციის
„კონკურსის პროგრამა და პირობები“

საკონკურსო პირობები შემუშავებულია UNESCO-UIA-ს არქიტექტურული და ურბანული გეგმარების საერთაშორისო კონკურსების მოწყობის შესახებ - სახელმძვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

1. „კონკურსის ორგანიზატორები“
   - არქიტექტურისა და ინოვაციების საერთაშორისო აკადემია - **AIIA**
   - საქართველოს არქიტექტორთა კავშირი
2. „კონკურსის დამკვეთი“
   - შპს „ვილა კიკეთი“

I თავი

ზოგადი ნაწილი

1.1 ერთტურიანი არქიტექტურული კონკურსი მიზნად ისახავს, ქალაქ თბილისის მიმდებარედ- საკურორტო ზონა კიკეთში ერთმანეთის მიჯნით მდებარე, ორი მიწის ნაკვეთის კონსოლიდირებულად განვითარებასათვის საუკეთესო **არქიტექტურული იდეის-კონცეფციის** გამოვლენას.

კერძოდ:

1.1.1 **„ჟიურის“** მიერ, წინამდებარე ერთტურიანი არქიტექტურული კონკურსის საფუძველზე მოხდება პრემირებული სამი საუკეთესო იდეა-კონცეფციის გამოვლენა, რომელთაგანაც კონკურსის შემდგომ, **„დამკვეთის“** მიერ შერჩეულ იქნება და ერთერთი იდეის-კონცეფციის ავტორთან/ებთან დამატებითი ხელშეკრულებო პირობებით გაფორმდება ახალი კონტრაქტი, რომლის საფუძველზე -საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად- უნდა დამუშავდეს სამშენებლო დოკუმენტაცია.

1.1.2 მიწის ნაკვეთების ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარეობა და მათზე, მუნიციპალურ გზასთან, ერთი საერთო მისასვლელის გამო ტერიტორიის გეგმარება უნდა მოხდეს გაერთიანებული კონცეფციით, მაგრამ ზონირებით შენობები ნაკვეთზე უნდა განთავსდეს დაშორიშორებულად- განცალკავებულად.

1.1.3 პრემირებული იდეა-კონცეფციის მახასიათებლები; (თითეულ მიწის ნაკვეთზე ორი დამოუკიდებელი საკურორტო დასასვენებელი სახლი ტერირიტორიაზე განთავსება. ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინის ხერხები) უნდა იძლეოდეს დასვენების საუკეთესო პირობებს და მოცულობების ერთობლიობა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი არქიტექტურული ესთეტიკით.

1.1.4 თითეულ ნაკვეთზე, იდეია -კონცეფციით გააზრებული, შენობების ან შენობათა ჯგუფის განთავსება უნდა იწვევდეს ტერიტორიაზე ღირებული მრავალწლიანი ხეების მაქსიმალურად შენარჩუნების საშუალებას.

1.1.5 შესაძლებელია გაერთიანებულ ტერიტორიაზე ფუნქციურად განთავსდეს: საერთო რეკრიაციული სივრცე, საერთო სამეურნეო ზონა შესაბამისი სათავსებით და საერთო ღია ავტოსადგომით.

(თვალსაჩინოებისათვის, საკონკურსო დოკუმენტებში იხილეთ ტერიტორიის ზოგადი ზონირების სქემა, სადაც ტონირებული ა- აღნიშნულია ძირითადი სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი არეალები. კერძოდ ცალკე მონიშნულია ორი რეზიდენციის-ვილის განთავსების ადგილი. ხოლო დარჩენილ მონიშნულ ტერიტორიაზე გონივრულად უნდა განთავსდეს: შენობები დამხმარე პერსონისათვის, ნაგებობები სამეურნეო სათავსებისათვის და ავტომობილებისათვის სპეციალური სადგომები, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი დგომის რეჟიმებისათვის.

უმეტეს - გამწვანებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია სასეირნო ბილიკებისა მცირე მოსასვენებელი სივრცეების დაგეგმარება, მათ შორის მცირე დეკორატიული ელემენტების განთავსება. სასურველია ტერიტორიის მთავარი ჭიშკარისა და დამცავი ღობის დიზაინის წარმოდგენაც.

ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო ს!.... ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მჭიდროდაა დაფარული მრავალწლიანი ხე-მცენარეებით, რომელთა მაქსიმალური შენარჩუნება მნიშვნელოვანი და სავალდებულოა.)

1.2 შემოქმედებითი კონკურსის პროცესების ერთიან მართვას უზრუნველყოფს **„კონკურსის ორგანიზატორები“.**

1.3 კონკურსის პროფესიულ მონიტორინგს მოახდენს **„საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ეთიკის კომისია“.**

1.4 შემოქმედებითი კონკურსის ფინანსურად უზრუნველყოფს **„კონკურსის დამკვეთი“.**

II თავი

შემოქმედებითი კონკურსის მიზანი დ ამოცანები.

2.1 შემოქმედებითი კონკურსის მიზანია; ერთტურიანი ღია არქიტექტურული შემოქმედებითი კონკურსის საშუალებით, ქალაქ თბილისი, სოფელ კიკეთის საკურორტო ზონაში ს.კ 81.01.01.809 და ს.კ 81.01.01.810 მიწის ნაკვეთების (მიწის საერთო ფართი შეადგენს 20.000 კვ. მეტრს) **განვითარებისათვის საუკეთესო იდეა-კონცეფციის შერჩევა.**

2.2 არქიტექტურული კონკურსის ამოცანებია:

„ჟიურის“ მიერ შერჩეული სამი **იდეა-კონცეფციიდან** ერთ-ერთის საფუძველზე არქიტექტურულ-საშენებლო პროექტის დამუშავება, რომლის საფუძველზე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნება ორი დასასვენებელი საზაფხულო რეზიდენციის - ვილისა და დამხმარე სათავსების იმდაგვარად დაგეგმარება, რომ **შესაძლებელი გახდეს:**

- **2.2.1** აღნიშნულ ორ მიწის ნაკვეთების საერთო გეგმარებითი ერთიანობის შენარჩუნება და თითეული რეზიდენციის დამოუკიდებლად ფუნქციონირება.

- **2.2.2** არსებულ გარემოში, შენობების მოცულობითი წყობით-კომპოზიციით, ნაკლები დისონანსის შეტანა.

- **2.2.3** შენობის საერთო და ცალკეული სათავსების გეგმარებით გადაწყვეტებისას, არსებული ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინება და მათ შორის ფუნქციური კავშირების უზრუნველყოფა.

- **2.2.4** მიწის ნაკვეთების საერთო გეგმარებით ერთეულზე არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნება.

- **2.2.5** შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის იმდაგვარი მასალების შერჩევა, რომლიც გამოყენებაც უზრუნველყოფს მაღალ ენერგოეფექტურობას.

III თავი

შემოქმედებითი კონკურსის პირობები

3.1 საერთაშორისო ერთტურიანი არქიტექტურული კონკურსი ცხადდება ღია და ანონიმური წესით.

3.2 * კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- არქიტექტურის მაგისტრს ან/და მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული კვალიფიკაციის მქონე პირს.
- ასევე, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული კვალიფიკაციის ხელმძღვანელობით შექმნილ საკონკურსო ჯგუფებს, რომლებშიც შესაძლოა გაერთიანებულნი იყვნენ, როგორც ბაკალავრები, ასევე არქიტექტურის დარგის სტუდენტები.

3.3 * კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა, კონკურსში მონაწილის მსურველმა ელექტრონულად, კონკურსში მონაწილეობის თაობაზე,

კონკურსის მეილზე - **competition @ archinfo.ge** - **2025 წლის 25 თებერვლამდე** გაგზავნონ კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნის ტექსტი - **გთხოვთ დამარეგისტრიროთ არქიტექტურულ კონკურსში - „ვილა კიკეთი“.**

3.4 * **რეგისტრაციის მოთხოვნის შემდგომ იმავე ელექტრონულ მისამართზე მიიღებთ რეგისტრაციის შვიდნიშნა ნომერს.**

3.5 * **აღნიშნული შვიდნიშნა ნომერით მოხდება თქვენი საკონკურსო მასალების იდენტიფიცირება და მონაწილის ანონიმურობის დაცვა. შესაბამისად საკონკურსო მასალის გაგზავნამდე უნდა მოხდეს, ყოველი დოკუმენტის შვიდნიშნა მაინდიფიცირებელი ციფრებით დანომრვა და შემდგომ გაგზავნა.**

3.6 კონკურსში მონაწილეობა და რეგისტრაცია უფასოა

3.7 კონკურსი ლეგიტიმურად ჩაითვლება, თუ კონკურსში განსახილველად წარმოდგენილი იქნება ხუთი ან მეტი საკონკურსო წინადადება..

3.8 საკონკურსო მასალების შეფასებას და გამარჯვებულებული კონცეფციის გამოვლენას მოახდენს **„საკონკურსო ჟიური“**.

3.10 * **„საკონკურსო პროგრამა და პირობების“** დარღვევით წარდგენილი საკონკურსო მასალები (ტექსტური და საპრეზენტაციო მასალები, საკონკურსო მასალის ჩაბარების ვადა და ა.შ.) კონკურსზე არ განიხილება.

3.11კონკურსის ჩატარების პროცედურები და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის შესაძლო პრეტენზიები, რეგულირდება წინამდებარე საკონკურსო პირობებით.

3.12 საკონკურსო მასალის წარდგენა და კონკურსის საქმიანობის წარმოება მოხდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3.13 კონკურსის თაობაზე განცხადებების განთავსება და საკონკურსო მასალების მიღება შესაძლებელია არქიტექტურული კონკუსების სპეციალურ ვებ-გვერდზე **competition.archinfo.ge**

IV თავი

შემოქმედებითი კონკურსის კალენდარი:

4.1 კონკურსის გამოცხადება 2025 წლის 7 თებერვალს.

4.2 საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომია კონკუსების სპეციალურ ვებ-გვერდზე **competition.archinfo.ge**

4.3 * საკონკურსო მასალების გადაგზავნა **„კონკურსის ორგანიზატორებთან“** უნდა მოხდეს ელექტრონულად 2025 წლის 28 მარტის 24.00 საათამდე.

4.4 საკონკურსო მასალების გამოფენა გაიხსნება 2025 წლის 7 აპრილს, 17.00 საათზე.

4.5 **„საკონკურსო ჟიურის“** სამუშაო ვადები. 2025 წლის 7 აპრილიდან - 11 აპრილის ჩათვლით.

4.6 კონკურსის შედეგები გამოცხადება 2025 წლის 11 აპრილს 17.00 საათზე.

V თავი

შემოქმედებითი საკონკურსო პრემიები:

5.1 კონკურსის საპრემიო ფონდი შეადგენს ოცდაათიათას-30.000 აშშ დოლარს.

5.2 კონკურსის მიზნის მისაღწევად **„კონკურსის ჟიური“-ს** მიერ შერჩეული იქნება სამი საუკეთესო იდეა-კონცეფცია, რომელთა ავტორებს -ჰონორალი სახით -გადაეცემათ **სამი თანაბარი -10.000 დოლარი ოდენობის -ფულადი ჯილდო.**

5.3 გამარჯვებული ავტორებს ასევე გადაეცემათ საპატიო პრიზები და დიპლომები. მათ შორის კონკურსში ყველა მონაწილეს გადაეცემა კონკურსში მონაწილის სერტიფიკატი.

5.4 „კონკურსის ჟიური“-ს მიერ საკონკუსო საპრემიო ფონდის სხვაგვარად გადანაწილება დაუშვებელია.

VI. თავი

„ საკონკურსო ჟიური“

6.1. არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსების ჟიურის შემადგენლობა

„საკონკურსო ჟიური“ განსაზღვრულია შვიდი წევრის შემადგენლობით, მათ შორის დამკვეტის მონაწილეობით, მოწვეულია ოთხი ადგილობრივი და ორი უცხოელი არქიტექტორ ექსპერტი.

კერძოდ:

1. **აბულაძე დავითი - არქიტექტორი,**
   საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავჯდომარე.

2. **ჯერზი გროხულსკი - არქიტექტორი,**
   საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის -UIA-ს ვიცე-პრეზიდენტი.

3. **პიტერ არსიჩი - არქიტექტორი,**
   არქიტექტურისა და ინოვაციების საერთაშორისო აკადემია-AIIA.

4. **ამაშუკელი ნოდარი-არქიტექტორი,**
   თბილისის სამხატვრო აკადემიის ვიცე-რექტორი.

5. **გივი გოგრიჭიანი-არქიტექტორი,**
   საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

6. **ზურაბ გეწაძე-არქიტექტორი,**
   საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

7. **ზაალ ჭანტურია -ინჟინერი**
   შპს „ვილა კიკეთის“ წარმომადგენელი

6.2 „საკონკურსო ჟიური“ მის პირველ სხდომაზე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ჟიურის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

6.3, **„საკონკურსო ჟიურის“** წევრის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/ და ინტერესთა კომფლიქტის შეუთავსებლობის შემთხვევაში, მის მონაცვლეობას ახდენს წარმდგენი ორგანიზაცია.

6.4 „საკონკურსო ჟიურის“ საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს **„კონკურსის სამდივნო“,** რომელიც უზრუნველყოფს: **1.** საკონკურსო მასალების მიღება-აღრიცხვას, **2**. მიღებული მასალების, საკონკურსო პირობებთან, რაოდენობრიობის შესაბამისობის დადგენას, **3. „საკონკურსის ჟიურის“** მუშაობის ორგანიზებასა და **„საკონკურსო ჟიურის“** ოქმების შედგენას; მათ შორის, 4. კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმირი ტექნიკური საკითხების წარმართვას; **„კონკურსის სამდივნო“** ჟიურის სამუშაო სხდომებზე სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

6.5 „საკონკურსო ჟიურის“ სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება **„კონკურსის ჟიურის“** წევრთა შემადგენლობის 2/3 მაინც.

6.6 „საკონკურსო ჟიური“, კონკურსთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტილებას იღებს თავმჯდომარე.

6.7 „საკონკურსო ჟიური“, კონკურსის ყველა ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს შესაბამისი ოქმის სახით. მათ შორის პრემირებული პროექტებისადმი, ჟიურის თითეული წევრის საექსპერტო შეფასება, შესაბამის ოქმში, მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული.

6.8 „კონკურსის ჟიურის“ უფლება აქვს, საკითხის დამატებით გარკვევის მიზნით (არ იგულისხმება პროექტების არსობრივი შეფასება). დამატებით მოიწვიოს დარგობრივი ექსპერტები.

6.9 „კონკურსის ჟიურის“ წევრს, **„კონკურსის სამდივნოს“,** მათ შორის მოწვეულ ექსპერტებს, კონკურსის დასრულებამდე, ეკრძალებათ ჟიურის მუშაობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

6.10 „კონკურსის ჟიურის“ უფლება აქვს კონკურსი ჩაშლილად გამოაცხადოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. კონკურზე განსახილველად შემოვიდა სამ ერთეულზე ნაკლები საკონკურსო წინადადება. 2. საკონკურსო პროცესში გამოვლინდა არსებითი დარღვევები, რომელიც არღვევს კონკურსში მონაწილეთა უფლებებს და ზღუდავს კონკურსის გამართვის პირობებს.

6.11 **„კონკურსის ჟიურის“** გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება შეიცვალოს, მათ შორის **„კონკურსის დამკვეთის“** ან/და **„კონკურსის ორგანიზატორის“** მიერ; გარდა

იმ შემთხვევისა, როდესაც **„კონკურსში მონაწილეს“** აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომლითაც სათანადოდ დგინდება, რომ **„კონკურსის დამკვეთის“**, **„კონკურსის ორგანიზატორის“** ან/და **„საკონკურსო ჟიურის“** ქმედებით კონკურსის ჩატარებისას დაირღვა საკონკურსო პირობები და წესები ან/და შეილახა მისი, როგორც ავტორის უფლება.

VII თავი

საკონკურსო მასალების შეფასების კრიტერიუმები:

7.1 „კონკურსის ჟიური“, სამი საუკეთესო იდეა-კონცეფციის შერჩევას და საკონკურსო მასალების შეფასებას მოახდენს 25 ბალინი სისტემით, რომელიც მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს შესაბამისი ქულებით:

7.1.1 საკონკურსო მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა და საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება; **(1-5 ქულა)**

7.1.2 იდეა-კონცეფციის გეგმარებითი მართლზომიერება და მისი განხორციელების რეალურობა; **(1-5 ქულა)**

7.1.3 საპროექტო ტერიტორიის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა და მისი არსებულ გარემოსთან თავსებადობა-მიზანშეწონილობა, **(1-5 ქულა)**

7.1.4 საკონკურსო პირობებით განსაზღრული დავალებისა და იდეა-კონცეფციის გეგმარებითი პარამეტრების მოცულობითი თანაზომადობა. **(1-5 ქულა)**

7.1.5 იდეა-კონცეფციის ორიგინალობა - ორიგინალური არქიტექტურული გადაწყვეტა. **(1-5 ქულა)**

.

VIII თავი
საკონკურსო საბაზისო მასალა:

8.1. საკონკურსო კონცეფციის შემუშავებისათვის და სადემოსტრაციო მასალების მომზადების მიზნით კონკურსში მონაწილე პირებს მიეწოდებათ შემდეგი სახის საბაზისო დოკუმენტები:

ა) კონკურსის პროგრამა და პირობები.

ბ) საკონკურსო ტერიტორიის საკადასტრო მონაცემები.

გ) საკონკურსო ტერიტორიის და მიმდებარე არეალის ორთოფოტო.

დ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუქა საკადასტრო საზღვრების ჩვენებით.

ე) ტერიტორიის მნიშვნელოვანი ხედების ფოტო მასალები ფოტომონტაჟისათვის.

ვ) ტექნიკური მონაცემები საპროექტო მოცულობებზე.

IX. თავი

შემოქმედებითი კონკურსზე წარსადგენი მასალები:

9.1 * საკონკურსო იდეა-კონცეფციის სადემოსტრაციო მასალები, საკონკურსო პირობების დაცვით ელექტრონულ ფორმატში, 2025 წლის 28 მარტის 24.00 საათამდე, კონკურსის ორგანიზატორებს უნდა გადაეგზავნოთ - **competition @ archinfo.ge**

9.1.1 * სადემოსტრაციო მასალები განთავსებული უნდა იყოს არა უმეტეს ოთხ ერთეულ A-1 ფორმატზე ვერტიკალური კოპოზიციით.

9.1.2 * თითეულ პლანშეტი თანმიმდევრულად მარჯვენა ზედა კუთხეში უნდა **დაინომროს სარეგისტრაციო შვიდნიშნა ნომრით** და მარჯვენა ქვედა კუთხეში უნდა განთავსდეს მასალის რაოდენობრივი ნომერი, რათა გამოფენის დროს დაცული იყოს მასალების ექსპოზიციის ავტორისეული კომპოზიცია.

9.1.3 * თითეულ სადემოსტრაციო მასალას ასევე ელექტრონულად ცალკე უნდა ახლდეს: A-4 ზომის ფორმატში, შვიდნიშნა სარეგისტრაციო ნომრით აღნიშნული, არა უმეტეს ორი გვერდზე მომზადებული, იდეა-კონცებციის განმარტებითი ბარათი.

9.1.4 * სადემოსტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია უნდა მომზადდეს PDF ფორმატში (დაარქივებული ფაილით არაუმეტეს 25 მგბ), აგრეთვე დამატებით ცალკეული გამოსახულებებით JPG ფორმატში (200 dpi).

9.2 * კონკურსზე წარგენილ ყველა მასალაზე **(განმარტებით ბარათზე, საპრეზენტაციო პლანშეტებზე)** მარჯვენა ზედა კუთხეებში დატანილი უნდა იყოს სარეგისტრაციო შვიდნიშნა რიცხვის .

9.3 * **დაუშვებელია საპრეზენტაციო მასალაზე ავტორის/ავტორების მითითება.**

9.4 **საკონკურსო მასალები, კომპოზიციურად, პანშეტებზე უნდა განთავსდენ ისეთი თანმიმდევრობით, სიდიდით და ნახაზების მაშტაბით, რომ ნათლად წარმოჩინდეს და ჟიურის მიერ შესაძლებელი უნდა გახდეს კონცეფციის ძირითადი არსის, როგორც მოცულობითი სიდიდის და კომპოზიციური წყობის, ასევე ზოგად გეგმარებითი პარამეტრების აღქმა და შეფასება.**

9.10 **სადემოსტრაციო მასალაში, ზოგადი სქემების დონეზე წარმოდგენილი უნდა იყოს ფასადები, ჭრილები, გეგმები, რენდერები და რეალურ გარემოში ფოტო მონტაჟები.**

კერძოდ აუცილებელია, საკონკურსო მასალა მოცავდეს:

1. ტერიტორიის დაგეგმარების ზოგად გენ-სქემას.
2. თითეული შენობის და ნაგებობის სართულის გეგმის სქემებს.
3. თითოელ შენობის და ნაგებობის ორი სქემატურ ჭრილს.
4. თითეული შენობის და ნაგებობის ფასადებს.
5. თითეულ შენობის მინიმუმ ორი ფოტომონტაჟს.
6. თითეული შენობის ინტერიერის მინიმუმ ორ რენდერს.
7. **ავტორების შეხედულებისამებრ შესაძლებელია დამატებითი მასალის წარმოდგენა,**

რომელიც შესაძლოა იყოს ტერიტორიაზე მცირე არქიტექტურულ გადაწყვეტები ან/და ახალ ტექნოლოგიებთან და მასალებთან დაკავშირებული საკითხები.

X. თავი

„კონკურსის ორგანიზატორის“, „კონკურსის ჟიურის“, „კონკურსში მონაწილისა“და „კონკურსის დამკვეთის“ ვალდებულებები.

10.1 „კონკურსის პროგრამა და პირობები“ „კონკურსის ორგანიზატორებს“, „კონკურსის ჟიურის“ წევრებს, **„კონკურსში მონაწილეს“ და „კონკურსის დამკვეთს,“** შორის აქვს ხელშეკრულების ძალა და შესაბამისად მასთან დაკაშირებული საკითხების გარკვევა იხილება და წყდება წინამდებარე საკონკურსო წესის ფარგლებში.

რის გამოც თითეული მხარე, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული და პასუხისმგებელია ხელი შეუწყოს კონკურსის ერთიანი პროცესების მართლზომიერად წარმართვას.

მათ შორის კონკურსის დამთავრებამდე უნდა უზრუნველყონ კონკურსთან დაკავშირებული საკითხების კონფიდენციალურობა და ანონიმურობა.

კერძოდ:

10.1 „კონკურსის ორგანიზატორები“ ვალდებულნი არიან;

- **შექმნან** ყველა წინაპირობა, რათა წინამდებარე არქიტექტურული კონკურსი წარიმართოს სამართლიანად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად;

- **„საკონკურსო პირობები და წესები“ შეიმუშაონ** საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში;

- **უზრუნველყონ „საკონკურსო პირობებისა და წესების“** დაცვით, კონკურსის ერთიანი პროცესის მონიტორინგი. მათ შორის **„კონკურსის ჟიურის“** ეფექტური მუშაობა და **„კონკურსის მონაწილეთა“** საავტორო უფლებების დაცვა.

10.2. „კონკურსის ჟიურის“ წევრები ვალდებულნი არიან;

- საკონკურსო მასალების შეფასებას იმოქმედონ **„საკონკურსო პირობები და წესების“** შესაბამისად და ფინალური გადაწყვეტილებების მიღებისას იხელმძღვანელონ საკონკუსო შეფასების კრიტერიუმებით და აწარმოონ კვალიფიციური დასკვნები.

ჯიურის მუშაობისას მაქსიმალურად უზრუნველყონ ჯანსაღი კონკურენციის პროცესი.

10.3 „კონკურსის მონაწილე“ წევრები ვალდებულნი არიან;

- საკონკურსო მასალები წარადგინონ **„საკონკურსო პირობები და წესების“** დაცვით;

- მათ შორის პრემირებული იდეა-კონცებციის ავტორების ვალდებულებაა, კონკურსის ფინალური ეტაპის შემდგომ ითანამშრომლონ კონკურსის ორგანიზატორებთან და დამკვეთთან, რათა, არქიტექტურული იდეა-კონცეფციის რეალიზების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმება.

ასევე, პრემირებული არქიტექტურული იდეა-კონცეფციიის ავტორები ვალდებულნი არიან **„კონკურსის დამკვეთს“** გადასცენ საკონკურსო მასალებზე ქონებრივი უფლებები. ხოლო მათი საავტორო უფლებების დაცვა განხორციელდება, საავტორო უფლებებზე, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

10.4 **„კონკურსის დამკვეთი“** ვალდებული არის;

- უზრუნველყოს საკონკურსო არეალისა და საკონკურსო ტერიტორიის საკლევ-საძიებო სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფა.

- კონკურსის ორგანიზატორთან სათანადო ხელშეკრულების პირობების საფუძველზე მოახდინოს არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსის ერთიანი პროცესის, მათ შორის წინა საკონკურსო მასალების მომზადების, ფინანსური უზრუნველყოფა.

- კონკუსის დასკვნით ეტაპზე, კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე, მოახდინოს ჟიურის მიერ შერჩული სამი არქიტექტურული კონცეფციის ავტორზე/ებზე ფონორალის გადაცემის უზრუნველყოფა.

****

XI თავი

გარდამავალი პირობები

კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ !!!!!!!!!

წინამდებარე საკონკურსო პირობების პუნქტების, რომელიც

აღნიშნულია **სპეციალური ვარსკვლავით** *, დაცვა,

განსაკუთრებით აუცილებელია. !!!!!!!!!

აღნიშნული პირობების დარღვევა იწვევს კონკურსში მონაწილის დიკვალიფიკაციას.

****